პროლეტარიელებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა, 21 თებერვალი, 1943 წ. № 46 (6668). ფასი 20 კაპ.

მუშებო და მუშა ქალებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! დაუღალავად იმუშავეთ ფრონტის დასახმარებლად! მეტი ტანკები, თვითმფრინავები, ქვემეხები, ნაღმსატყორცნები, ყუმბარები, ნაღმები, ტყვიამფრქვევები, ავტომატები და შაშხანები მიეცით შემტევ წითელ არმიას!

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ლოზუნგებიდან წითელი არმიის XXV წლისთავისათვის.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ლოზუნგები

წითელი არმიის XXV წლისთავისათვის

1. გაუმარჯოს წითელ არმიას, რომელიც გმირულად იბრძვის ჩვენი სამშობლოს ღირსებისა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ!

აღვნიშნოთ წითელი არმიის XXV წლისთავი ახალ-ახალი გამარჯვებებით მტერზე!

2. გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს, მის გმირ წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს, რომლებმაც მტკიცე საფუძველი შეჰქმნეს გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვებისათვის!

წინ, გერმანელ ოკუპანტთა სრული განადგურებისათვის!

3. ამხანაგო წითელარმიელებო, წითელფლოტელებო, მეთაურებო და პოლიტმუშაკებო, პარტიზანო ქალებო და კაცებო! დიდი განმათავისუფლებელი მისია გხვდათ წილად. მაშ იყავით ღირსნი ამ მისიისა,—ულმობლად ულიტეთ გერმანელი ფაშისტი არამზადები!

4. საბჭოთა სამშობლოსათვის ბრძოლაში მიდიან საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა შვილები. გაუმარჯოს წითელ არმიას—სსრ კავშირის ხალხთა ძმობისა და მეგობრობის არმიას!

5. წითელი არმიის მამაცო მეომრებო! სამშობლო ამაყობს თქვენი სახელოვანი გამარჯვებებით! კიდევ უფრო მაგრად ურტყიათ გერმანელ ფაშისტ ავაზაკებს! გასწმინდეთ სამშობლო მიწა-წყალი ჰიტლერული სიბილწისაგან!

6. გაუმარჯოს წითელ არმიას, რომელსაც განთავისუფლება მიაქვს დაჩაგრული ხალხებისათვის და რომელიც აღაფრთოვანებს მათ ჰიტლერული ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის!

7. გაუმარჯოს ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის საბრძოლო კავშირის გამარჯვებას კაცობრიობის საზიზღარ მტრებზე—გერმანელ ფაშისტ დამმონებლებზე!

8. წყევლა-კრულვა და სიკვდილი გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს, მათს სახელმწიფოს, მათს არმიას, მათს „ახალ წესრიგს ევროპაში“!

9. წითელი არმიის მეთაურებო! შეუპოვრად დაეუფლეთ სამხედრო ხელოვნებას! დაუღალავად ამაღლეთ სამხედრო ნაწილებისა და შენაერთების საბრძოლო წრთვნა, სრულყოფილად შეისწავლეთ ჯარების გვარეობის ურთიერთმოქმედების საქმე, გახდით ჯარების წინამძღოლობის ოსტატები!

10. წითელი არმიის მეომრებო! სრულყოფილად შეისწავლეთ თქვენი იარაღი, გახდით თქვენი საქმის ოსტატები, მიბრჯნით ურტყიათ გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს მათს სრულ გაულეტამდე!

11. წითელი არმიის მეომრებო! უმკაცრესი წესრიგი და რკინისებური დისციპლინა მტერზე ჩვენი გამარჯვების პირობაა. ყოველნაირად განამტკიცეთ დისციპლინა და წესრიგი ჩვენს არმიაში!

12. წითელი არმიის მეომრებო! თქვენ გელოდებიან, როგორც განმათავისუფლებლებს, მილიონობით საბჭოთა ადამიანები, რომლებიც გერმანელ ფაშისტთა უღელ ქვეშ გმინავენ. წინ, დასავლეთისაკენ, საბჭოთა მიწა-წყლის განსათავისუფლებლად!

13. შური ვიძიოთ გერმანელ ფაშისტ არამზადებზე ჩვენი ქალაქებისა და სოფლების გაძარცვისა და აკლებისათვის, საბჭოთა ადამიანების მკვლელობისა და გერმანულ მონობაში წაყვანისათვის, ქალებისა და ბავშვებისადმი ძალადობისათვის.

სისხლი სისხლისა წილ! სიკვდილი სიკვდილისა წილ!

14. წითელი არმიის ქვეითებო! გარეკეთ გერმანელები და მათი დამქაშები საბჭოთა მიწა-წყლიდან! სდევნეთ და ულიტეთ მტრის ჯარები! გარშემოერტყიათ და ტყვედ წამოიყვანეთ გერმანელი დამპყრობლები, ხოლო თუ ტყვედ დანებებაზე უარს იტყვიან—მოსპეთ ისინი!

გაუმარჯოს საბჭოთა ქვეითებს!

15. საბჭოთა მფრინავებო—ჩვენი სამშობლოს შევარდნებო! ულმობლად ანადგურეთ მტერი ჰაერში, მიწაზე და ზღვაში!

გაუმარჯოს საბჭოთა მფრინავებს!

16. წითელი არმიის ტანკისტებო! გაბედულად ულიტეთ მტერი! დაეხმარეთ ჩვენს ქვეითს ჯარს შეტევაში! ათავისუფლეთ ჩვენი სამშობლო მიწა-წყალი გერმანელი დამპყრობლებისაგან!

გაუმარჯოს საბჭოთა ტანკისტებს!

17. წითელი არმიის არტილერისტებო და ნაღმმტყორცნელებო! მძლავრი ცეცხლითი დარტყმებით ამსხვრიეთ მტრის სიმაგრეები, წინააღმდეგობის კვანძები და დასაყრდენი პუნქტები! მოსპეთ მტრის ცოცხალი ძალა ღა ტექნიკა!

გაუმარჯოს საბჭოთა არტილერისტებსა და ნაღმმტყორცნელებს!

18. წითელი არმიის მექანიზებული ნაწილებისა და შენაერთების მებრძოლებო, მეთაურებო და პოლიტმუშაკებო! სწრაფად სდევნეთ, გაბედული მოქმედებით გარშემოერტყიათ და ანადგურეთ მტრის ჯარები!

გაუმარჯოს წითელი არმიის მექანიზებულ ნაწილებსა და შენაერთებს!

19. წითელი არმიის კავალერისტებო! მამაცო კაზაკებო, უშიშარო ჯიგიტებო! თამამად და გაბედულად დაერიეთ მტრის ჯარებს, მოსპეთ გერმანელი ფაშისტი უწმინდურები!

გაუმარჯოს საბჭოთა ცხენოსნებს!

20. სამხედრო-საზღვაო ფლოტის წითელფლოტელებო, მეთაურებო და პოლიტმუშაკებო! გააძლიერეთ დარტყმა მტრისადმი! ანადგურეთ მტრის გემები და ტრანსპორტები, დაუნდობლად ულიტეთ ჰიტლერელი დამპყრობნი!

გაუმარჯოს საბჭოთა მეზღვაურებს!

21. წითელი არმიის მეავტომატეებო! უფრო მაგრად ურტყიათ გერმანელ ფაშისტ ყაჩაღებს! ავტომატის ცეცხლი დაუშინეთ მტერს! არ მოასვენოთ გერმანელები არც დღისით, არც ღამით!

გაუმარჯოს საბჭოთა მეავტომატეებს!

22. წითელი არმიის მზვერავებო! გაბედულად იმოქმედეთ გერმანელების ზურგში! აღმოაჩინეთ მტრის განლაგება და ძალები, მიუხვდით მას განზრახვებს და ფიქრებს. მთელი ძალ-ღონით შეუწყეთ ხელი ჩვენი ჯარების შეტევის წარმატებას!

გაუმარჯოს უშიშარ საბჭოთა მზვერავებს!

23. წითელი არმიის მეკავშირეებო! გახსოვდეთ, რომ კარგი კავშირგაბმულობა მტერზე გამარჯვების მნიშვნელოვანი პირობაა! ყოველმხრივ გააუმჯობესეთ კავშირგაბმულობის საქმე წითელ არმიაში!

გაუმარჯოს საბჭოთა მეკავშირეებს!

24. საინჟინრო-მესანგრე ჯარების მებრძოლებო, მეთაურებო და პოლიტმუშაკებო! ყოველი საშუალებით დაეხმარეთ შემტევ ჯარებს საზიზღარი მტრის განადგურებაში!

გაუმარჯოს წითელი არმიის საინჟინრო-მესანგრე ნაწილებს!

25. გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან მესაზღვრეებს, საბჭოთა საზღვრების ერთგულ დამცველთ!

26. წითელი არმიის მედიცინის მუშაკებო! ექიმებო, სამედიცინო დებო, სანიტრებო! გახსოვდეთ, რომ თქვენს თავდადებულ მუშაობაზე არის დამოკიდებული დაჭრილი საბჭოთა მეომრების სიცოცხლე და მწყობრში დაბრუნება!

გაუმარჯოს წითელი არმიის მედიცინის მუშაკებს!

27. წითელი არმიის გვარდიელებო! ღირსეულად ატარეთ გვარდიის სახელოვანი დროშები! იყავით სიმამაცისა და გულადობის, დისციპლინისა და სიმტკიცის, შეტევაში სისწრაფისა და კვეთების მაგალითი!

გაუმარჯოს საბჭოთა გვარდიას!

28. დიდება დიდი სამამულო ომის გმირებს, რომელნიც მამაცურად იცავენ ჩვენი სამშობლოს ღირსებას, თავისუფლებას და დამოუკიდებლობას!

29. გაუმარჯოს წითელი არმიის მამაც გენერლებს, რომელთაც გერმანელ დამპყრობლებზე გამარჯვებისაკენ მიჰყავთ ჯარები!

30. დიდება ლენინგრადის, ოდესის, სევასტოპოლისა და სტალინგრადის გმირ დამცველთ, რომლებმაც დაგვანახვეს თავდადებული სიმამაცის, რკინისებური დისციპლინის, სიმტკიცისა და მტრის დამარცხების უნარის ნიმუშები!

31. სახელი და დიდება წითელი არმიის მამაც მეომრებს, რომლებმაც წარმატებით განახორციელეს მტრის ჯარების გარშემორტყმა და ლიკვიდაცია სტალინგრადთან!

32. მგზნებარე სალამი წითელი არმიის ჯარებს, რომლებმაც გაარღვიეს ლენინგრადის ბლოკადა! გაუმარჯოს ლენინგრადელებს, ჩვენი სამშობლოს სახელოვან პატრიოტ ქალებსა და კაცებს!

33. დებო და ძმებო! რუსებო, უკრაინელებო, ბელორუსებო, მოლდაველებო, ლიტველებო, ლატვიელებო, ესტონელებო, კარელებო, რომელნიც დროებით აღმოჩნდით გერმანელი ფაშისტი არამზადების უღელქვეშ! ახლოვდება თქვენი განთავისუფლების უამი. დაუნდობლად ულიტეთ ფაშისტი დამპყრობნი, გააჩაღეთ საყოველთაო-სახალხო პარტიზანული მოძრაობის ცეცხლი!

34. საბჭოთა პარტიზანო ქალებო და კაცებო! ანადგურეთ მოწინააღმდეგის ზურგი, მოსპეთ მისი შტაბები, დაანგრიეთ რკინიგზები და ხიდები, ცეცხლი წაუკიდეთ და ააფეთქეთ საწყობები და ყაზარმები, ულიტეთ მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალა! დღითიდღე აძლიერეთ დახმარება შემტევი წითელი არმიისადმი!

ჩვენს პარტიზან ქალებსა და კაცებს—დიდება!

35. სსრ კავშირის მოქალაქეთა—ქალთა და კაცთა საყოველთაო სამხედრო სწავლება განამტკიცებს ჩვენს თავდაცვას. საბჭოთა პატრიოტო ქალებო და კაცებო! შეისწავლეთ სამხედრო საქმე! იყავით სამშობლოს მარჯვე დამცველნი!

36. „მთელი ჩვენი ძალები—ჩვენი გმირი წითელი არმიის, ჩვენი სახელოვანი წითელი ფლოტის დასახმარებლად! ხალხის მთელი ძალები მტრის გასანადგურებლად“! (სტალინი).

37. საბჭოთა კავშირის მშრომელნო! ფრონტელთა ოჯახებისათვის ზრუნვა წითელი არმიისათვის მთელი ჩვენი ზრუნვის ნახევარია. საყოველთაო ყურადღებითა და ზრუნვით მოვეპყროთ სამშობლოს დამცველთა ოჯახებს!

38. მუშებო და მუშა ქალებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! დაუღალავად იმუშავეთ ფრონტის დასახმარებლად! მეტი ტანკები, თვითმფრინავები, ქვემეხები, ნაღმსატყორცნები, ყუმბარები, ნაღმები, ტყვიამფრქვევები, ავტომატები და შაშხანები მიეცით შემტევ წითელ არმიას!

39. კოლმეურნეებო და კოლმეურნე ქალებო, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებო და მუშა ქალებო, დაეხმარეთ წითელ არმიას გერმანელ მჩაგვრელთა განადგურებაში! მეტი სურსათი მიეცით ფრონტს! მთელი ძალები მტრის გასანადგურებლად!

40. რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკებო! იბრძოლეთ რკინიგზების შეუფერხებელი, ზუსტი მუშაობისათვის! მოაწყეთ ჯარებიანი და სამხედრო ტვირთიანი ტრანსპორტების სწრაფი სვლა! უზრუნველყავით ჩვენი ჯარების შეტევის წარმატება!

41. საბჭოთა ინტელიგენციავ! საბჭოთა მწერლებულებების მუშაკებო, ინჟინრებო, მასწავლებლებო, აგრონომებო, ექიმებო, მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკებო! მთელი ძალღონე და ცოდნა მოვახმაროთ გერმანელი ფაშისტი დამმონებლების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს!

42. მხურვალე სალამი საბჭოთა პატრიოტ ქალებსა და კაცებს, რომელთაც შეაქვთ თავიანთი დანაზოგი წითელი არმიისათვის ტანკების, თვითმფრინავებისა და ქვემეხთა ასაგებად!

43. საბჭოთა ქალებო! დაეუფლეთ მამაკაცთა პროფესიებს, შესცვალეთ ფრონტზე წასული მამაკაცები! შეისწავლეთ საჰაერო და ქიმიური თავდაცვის საქმე, სანიტარული საქმე, კავშირგაბმულობა. მთელი ძალღონე — გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლას!

44. საბჭოთა ჭაბუკებო და ქალიშვილებო! თავდადებით იშრომეთ ფრონტის დასახმარებლად, დაეუფლეთ წარმოების ტექნიკას, გვიჩვენეთ შრომის დისციპლინის ნიმუშები, დაუღალავად შეისწავლეთ სამხედრო საქმე!

გაუმარჯოს საბჭოთა ახალგაზრდობას!

45. გერმანელი ოკუპანტებისაგან განთავისუფლებული ქალაქებისა და სოფლების მშრომელნო! მთელი ძალღონით დაეხმარეთ შემტევ წითელ არმიას! უფრო სწრაფად აღადგინეთ მრეწველობა და სოფლის მეურნეობა!

46. კომუნისტებო და კომკავშირელებო! იყავით გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ მებრძოლთა პირველ რიგებში!

47. გაუმარჯოს ჩვენი სახელოვანი საბჭოთა სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას!

48. გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტური პარტიას (ბოლშევიკებისას), ლენინ-სტალინის პარტიას — გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვებისათვის ბრძოლის ორგანიზატორს!

49. ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით — წინ, გერმანელი ოკუპანტების გასანადგურებლად და ჩვენი სამშობლოს საზღვრებიდან მათ განსადევნად!

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი.

საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი

სოხუმი („კომუნისტის“ საკ. კორ.). 20 თებერვალს შესდგა საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი.

პლენუმზე განიხილა საოლქო კომიტეტის მუშაობის ანგარიში და საორგანიზაციო საკითხი.

პირველ საკითხზე პლენუმმა მოისმინა საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივნის ამხ. მ. ბარამიას მოხსენება.

კამათში მონაწილეობა მიიღეს გაგრის რაიონბჭის აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ფ. ზარანდიამ, აფხაზეთის ასსრ მიწსახკომმა ამხ. გ. ბერულავამ, ოჩამჩირის რაიკომის მდივანმა ამხ. დ. ჯანჯღლავამ, გუდაუთის რაიკომის მდივანმა ამხ. გ. კოკაიამ, გაგრის რაიკომის მდივანმა ამხ. მ. კუჭავამ, ტყვარჩელის ქალაქკომის მდივანმა ამხ. ზ. ხუნწარიამ, გალის რაიკომის მდივანმა ამხ. პ. თოდუამ და სხვ.

პლენუმმა ამხ. მ. ბარამია გაათავისუფლა საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად მისი არჩევის გამო.

საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის მოვალეობის აღმსრულებლად პლენუმმა აირჩია ამხ. აკაკი ივანესაძე მგელაძე.

საქ. კ. პ. (ბ) სოხუმის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

სოხუმი („კომუნისტის“ საკ. კორ.). 20 თებერვალს შესდგა საქ. კ. პ. (ბ) სოხუმის საქალაქო კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა განიხილა მოხსენება პარტიაში მიღების მდგომარეობის შესახებ და საორგანიზაციო საკითხი.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) სოხუმის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. სიჭინავა. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ვ. კაკოვმა, კ. გაბისონიამ, ალ. ბუსლოვსკიმ, კ. სასანიამ, ალ. დავიდოვმა და სხვ.

ამ საკითხზე პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილება.

პლენუმმა ამხ. მ. ბარამია გაათავისუფლა საქ. კ. პ. (ბ) სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის მოვალეობისაგან საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად მისი არჩევის გამო.

პლენუმმა საქ. კ. პ. (ბ) სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის მოვალეობის აღმსრულებლად აირჩია ამხ. ა. მგელაძე.

საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმი

ბათუმი, 20 თებერვალი (საქფესი). შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა სამი საკითხი: სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მსვლელობისა და საგაზაფხულო თესვისათვის მზადების შესახებ; აჭარის კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ და საორგანიზაციო საკითხები.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ი. ფუტკარაძემ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: ლომაძემ (პარტიის ქედის რაიკომის მდივანი), ლაგასასმა (ქობულეთის რაიონის ეორონშილოგის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე), ყურაშუბაძემ (ბათუმის რაიაღმასკომის თავმჯდომარე), ნაცვლიშვილმა (ჩაქვის ჩაის ფაბრიკის დირექტორი), გოგოლაშვილმა (აჭარის მიწსახკომი) და სხვ.

აჭარის კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. დუმბაძემ.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. თვალჭრელიძემ.

პლენუმმა მოვალეობისაგან გაათავისუფლა საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი პროპაგანდის დარგში ამხ. ი. ო. რუხაძე, სხვა სამუშაოზე მისი გადასვლის გამო. საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივნის მოვალეობის აღმსრულებლად პროპაგანდის დარგში ამხ. ი. ო. რუხაძე, სხვა სამუშაოზე მისი გადასვლის გამო. საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივნის მოვალეობის აღმსრულებლად პროპაგანდის, დარგში პლენუმმა დაამტკიცა ამხ. ბ. ნანიტაშვილი.

პლენუმმა საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრთა შემადგენლობაში შეიყვანა საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატები ამხ. ანასტასიადი და სანიკიძე.

მთელი ჩვენი ქვეყანა მონაწილეობს სტალინგრადის აღდგენაში

გორკის ოლქის კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა შეაგროვეს და სტალინგრადის ოლქის ბავშვებს საჩუქრად უგზავნიან ბევრ ტანსაცმელსა და თეთრეულს, ასობით წყვილ ფეხსაცმელს. ოლქის სოფლელი კომკავშირელები აგროვებენ მარცვლეული და ბოსტნეული კულტურების თესლს სტალინგრადის ოლქის კოლმეურნეობებისათვის, ავლინებენ და რემონტს უკეთებენ ზედმეტ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს. გერმანელთაგან განადგურებულ რაიონებში გასაგზავნად. გორკის ნავსადგურის ახალგაზრდა სტაჯანოველებმა თავიანთი ძალებით დაამთავრეს მინტაჟი და სტალინგრადში გზავნიან 5 ტრანსპორტიორს და სხვა მექანიზმებს სტალინგრადის ნავსადგურის აღსადგენად.

აშხაბადში (თურქმენეთი) აშხაბადის შუშეულობის ქარხნის მუშები და მუშა ქალები სტალინგრადისათვის ამზადებენ ფანჯრის მინას. კოლექტივმა იკისრა 15 მარტისათვის გეგმის გადამეტებით დაამზადოს 30 ვაგონი მინა.

„ლენგერუგოლის“ (სამხრეთი ყაზახეთი) მაღაროელები წითელი არმიის XXV წლისთავისათვის ქვანახშირის ეშელონს აშზადებენ სტალინგრადისათვის. მუშაობისაგან თავისუფალ დროს დამზადებულია უკვე 350 ტონა სათბობი. (საკდესი).

ხარკოვი
ბელგოროდი
ბრიანსკი
ორელი
ტულა
ტამბოვი
ვორონეჟი
ეროფეი
ზადონსკი
ლიპეცკი
ბალაშოვი
ალექსეევკა
ალექსეევკა
ბალაკოვო
ენგელსი
ალმა-ათა
ალმა-ათა
ალმა-ათა

სამამულო ომის სახელოვანი მებრძოლნი

უმცროსი ლეიტენანტი მ. ცუქბა

მზიური აფხაზეთის შვილი უმცროსი ლეიტენანტი მიხეილ ცუქბა ლენინგრადის გმირული დაცვის ერთ-ერთი სახელოვანი მონაწილეა. ამხ. მ. ცუქბამ განსაკუთრებით გაითქვა სახელი როგორც სნაიპერმა და სნაიპერთა მთელი ჯგუფის აღმზრდელმა. მან აღზარდა შესანიშნავი სნაიპერები პეტროვი, დიაკონოვი, ფაგელოვი, ნაზოევი, ფროლოვი და სხვები, რომელთა ტყვია დაუნდობლად ქლეტს ჰიტლერელებს.

ამხ. მ. ცუქბას სახელოვან ბრძოლებზე საკავშირო სპეც. კორესპონდენტი ამხ. პავლე ლუკნიცკი ლენინგრადიდან გადმოცემულ კორესპონდენციაში — „ლენინგრადის ფრონტის ადამიანები“ — სწერს: „ქალაქის კედლებთან ლენინგრადელებთან ერთად იბრძვიან ჩვენი სამშობლოს ყველა ეროვნების წარმომადგენლები. იბრძვის აფხაზი უმცროსი ლეიტენანტი მიხა ცუქბა, რომელმაც ასზე მეტი გერმანელი დახოცა და რომელსაც სამი ათეული მოწაფე ჰყავს...“

გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში სახელოვანმა ბალტიელმა სნაიპერმა მიხეილ ცუქბამ გასწყვიტა 125 ჰიტლერელი, ხოლო მისმა მოწაფეებმა 80-ზე მეტი.

ამასწინათ ლენინგრადის ერთ-ერთი გაზეთი აღწერდა ცუქბას უკანასკნელი მამაცური ბრძოლის ეპიზოდს.

„მტერი გამაგრდა ერთ დასახლებულ პუნქტში. საჭირო იყო მისი განდევნა. მამაცი საბჭოთა მებრძოლები შეტევაზე გადავიდნენ. გაიმართა გაცხარებული ბრძოლა, რომლის მსვლელობაში მტერს დიდი ზარალი მოუვიდა. მებრძოლებმა გასწმინდეს აღნიშნული პუნქტი, შორს გარეკეს გერმანელები. ამ ბრძოლაში განსაკუთრებით ისახელეს თავი საზღვაო ქვეითი ჯარის ნაწილებმა, მათ შორის მიხეილ ცუქბამ და მისმა სახელოვანმა სნაიპერებმა.

გაცხარებული ბრძოლის მომენტში გერმანელებს შეუტიეს ცუქბას მებრძოლებმა. მეავტომატენი სპობდნენ ფაშისტებს. ისინი მიიწევდნენ ერთი მდინარისაკენ, რათა დაეკავებინათ ხიდი. მათ გზა გადაუჭრა გერმანელ მეავტომატეთა დიდმა ჯგუფმა. ცუქბა დაეძგერა მათ, პირადად იქვე დასცა ძირს ოთხი გერმანელი მეავტომატე, და თვითონაც დაეცა სასიკვდილოდ დაჭრილი.

— შური ვიძიოთ ცუქბას მოკვლისათვის! —გაისმა მებრძოლთა შეძახილი. ხაზღვაო ქვეითები მუსრავდნენ მტერს, რომელმაც ზვაკვალაბნეულმა დაიხია უკან და ბრძოლის ველზე ბევრი გვამი დასტოვა..

ასე სახელოვნად დასრულდა სასახელო გზირის ცხოვრება“.

მიხეილ შრინის-ძე ცუქბა გუდაუთის რაიონის სოფელ აბგარხუკის გლეხის შვილი იყო. იგი დაიბადა 1919 წელს. უკანასკნელ წლებში მსახურობდა ბალტიის წითელდროშოვან ფლოტში, სადაც მიღებულ იქნა ბოლშევიკური პარტიის რიგებში. მან ბოლომდე გაამართლა კომუნისტის სახელი.

ამხ. ცუქბამ დიდსულოვნად შეასრულა აგრეთვე მოხუცი მამის დავიგება. მამა სწერდა ლენინგრადის ფრონტზე მყოფ შვილს:

„მე ვიცი, რომ შენ, შვილო, ლენინგრადთან იბრძვი. ურტყი, შვილო, მტერს, რაც შეიძლება მაგრად. დაუნდობლად იძიე მასზე შური მის მიერ ჩადენილი ბოროტებისათვის!“

მამამ მიიღო შვილის წერილი: „მამა! ეჭვი არ შეგეპაროს, რომ არ დავინდობთ წყეულ ფაშისტ ჯალათებს. ჩვენ გავანადგურებთ ფაშისტებს ლენინგრადთან!“

გ. ფერკვილაძე

ორდენოსანი უფროსი სერჟანტი გ. კახიძე

გრიგოლ ნესტორის-ძე კახიძე დაიბადა 1913 წელს სოფ. თხილთაწყაროში (ჩხარის რაიონი). 1931 წელს სოფ. თერჯოლაში დაამთავრა არასრული საშუალო სკოლა. 1932 წელს გადავიდა თბილისში და შეეიდა მოზრდილთა ათწლედში. 1935 წელს, ათწლედის დამთავრების შემდეგ, გაწვეულ იქნა წითელ არმიაში. წითელი არმიიდან დემობილიზებულ იქნა 1937 წელს ათმეთაურის წოდებით. ამავე წლიდან მუშაობს თბილისის საქალაქო საბჭოში სხვადასხვა თანამდებობებზე — საქალაქო არქივის დირექტორის მოადგილედ. სტალინის სახელობის ფულტურისა და დასვენების პარკის კომენდანტად და სხვ.

ამხ. გ. კახიძე 1930 წლიდან ალკკ წევრია, ხოლო 1942 წლიდან საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი.

საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში ამხ. გ. კახიძე მონაწილეობს მისი დაწყების პირველი დღიდანვე.

№ წითელარმიულ გაზეთში პოლიტბელი ბ. ლევიცკი უფროს სერჟანტ გრიგოლ კახიძის შესახებ მოგვითხრობს:

„მთის დაკლაკნილ გზაზე მოტოციკლით მოჰქროდა ამხ. გ. კახიძე. მოწინააღმდეგე განუწყვეტლივ ესროდა გზას ქვემეხსა და ნაღმსატყორცნს. ცეცხლი თანდათან ძლიერდებოდა. უფროსმა სერჟანტმა კახიძემ სწრაფად დაამუხრუჭა მოტოციკლი, გადმოიღო ულიდან კარაბინი, და საფარში ჩაწვა. მან წინ შეამჩნია გერმანელ მეავტომატეთა ჯგუფი, რომელნიც ჩვენს ნაწილს ესროდნენ.

მეავტომატეთა მოქმედებას ხელმძღვანელობდა რამდენიმე ოფიცერი. კახიძემ სრულიად ფულდამშვიდებით დაუმიზნა და ესროლა ერთ-ერთ ოფიცერს, რომელიც უმალვე ძირს დაეცა. მეავტომატეები ბუჩქებში მიიმალნენ. კახიძემ ირგვლივ შეათვალიერა გარემო, სწრაფად მიირბინა მოკლულ ოფიცერთან, აიღო მისი ავტომატი და დოკუმენტებიანი ჩანთა. ამის შემდეგ კახიძე აცოცდა ერთ-ერთ სიმაღლეზე, საიდანაც შეიძლებოდა გარემოს დათვალიერება და სროლის კარგად წარმოება.

იგი მოხერხებულად აფარებდა თავს მიხვეულ-მოხვეულ ადგილებს, უთვალთვალებდა ოფიცრებს და ესროდა მათ ნადავლ ავტომატს. ზუსტი სროლით მან კიდევ ერთი ოფიცერი და ერთი ეფრეიტორი მოჰკლა. გერმანელები სხვადასხვა მიმართულებით გაიფანტნენ, დააგდეს ორი ხელის ტყვიამფრქვევი და მისი ვაზნები. მალე ამხ. კახიძეს ჩვენი მებრძოლი ცხენოსნები მიეშველნენ.

ამხ. კახიძემ ნადავლი ტყვიამფრქვევები გადასცა კაზაკებს, ხოლო ოფიცრის ავტომატი და მისი ჩანთა, რომელშიც მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტები აღმოჩნდა,—ნაწილის შტაბს“.

იმავე № წითელარმიული გაზეთის შემდგომ ნომერში პარტორგი ნორუაშვილი ამხ. გ. კახიძეზე სწერს:

„სერჟანტი-მოტოციკლისტი კახიძე თავადადებით მუშაობს თავის საბრძოლო საგუშაგოზე. ერთხელ, უფროსის საბრძოლო დავალების ასრულებისას, ამხ. კახიძე მტრის რაკლაში მოხვდა. მაგრამ ახალგაზრდა კომუნისტი არ დაიბნა, არ შეშინდა. იგი მოხერხებულად გამოვიდა გარემოცვიდან, დაიცვა საიდუმლო საბუთები, არ დაჰკარგა მოტოციკლი და იარაღი“.

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის უფროსი სერჟანტი გრიგოლ ნესტორის-ძე კახიძე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოებულია **წითელი დროშის** ორდენით.

შ. გვინჩიძე

ინგლისის ავიაცია თავს დაესხა ვილჰელმსჰაფენს

ლონდონი, 20 თებერვალი (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტრის კომუნიკეში გამოქვეყნდა, რომ 19 თებერვალს ღამით ბომბდამშენი ავიაციის თვითმფრინავებმა დიდი ფანდადსხმა მოაწყეს ვილჰელმსჰაფენზე. ბომბები დააყარეს აგრეთვე მთელ რიგ სხვა ობიექტებს დასავლეთ გერმანიაში. საჯარისო ავიაციის თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს სატრანსფორმატორო სადგურებზე საფრანგეთში.

14 თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა.

ა. შ. შტატების სამხედრო მინისტრი ამერიკელთა წარმომგებლობის შესახებ გუნისში

ვაშინგტონი, 20 თებერვალი (საკდესი). ა. შ. შტატების სამხედრო მინისტრმა სტიმონმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ამერიკელებმა ცენტრალურ ტუნისში ფერიოზული ადგილმბრივი წარუმატებლობანიცადეს. მიღებული ცნობები ჯერ კიდევ სრული არ არის, სთქვა სტიმსონმა, მაგრამ, ალბათ, ამერიკელებს მეტად სერიოზული ზიანი მოუვიდათ შეიარაღებულ ძალთა პიადი შემადგენლობისა და საჭურველის ბრივ. სტიმსონმა აღნიშნა, რომ ღერძის საბელმწიფოთა ჯარებმა იერიში მოიტანეს ამერიკელთა ხაზებზე, რომლებსაც შედარებით მსუბუქი ძალები იცავდნენ, იმ დროს, როცა ინგლისის მე-8 არმია ტრიპოლში რეორგანიზაციის სტადიაში იმყოფება, ხოლო ჩრდილოეთ ტუნისში მყოფი ინგლისელთა პირველი არმია ტალახში ჩაეფლო. გერმანელთა იერიში, სთქვა სტიმსონმა, ალბათ, მიზნად ისახავს გააფართოოს კორიდორი სანაპიროს გასწვრივ გერმანელთა ჯარებს შორის ჩრდილოეთ და სამხრეთ ტუნისში.

ჩან კაი-შის მეუღლემ სიტყვა წარმოსთქვა ა. შ. შტატების კონგრესზე

ნიუ-იორკი, 20 თებერვალი (საკდესი). ტუზველტის რეზიდენცია ჰაიდ-პარკში ექვსი დღის ყოფნის შემდეგ ვაშინგტონს მისული გენერალისიმუს ჩან კაი-შის მეუღლე დიდი პატივით იქნა მიღებული. სადგურზე მას შეხვდნენ რუზველტი და მისი მეუღლე. ქ-ნმა ჩან კაი-შიმ წარმომადგენელთა პალატის სპეციალურ სხდომაზე წარმოსთქვა დიდი სიტყვა, რომლითაც მოუწოდა გააძლიერონ სამხედრო ოპერაციები იაპონიის წინააღმდეგ. მან გამოსთქვა იმედი, **რომ** ა. შ. შტატების კონგრესი მთელ თავის ყურადღებას მიაპყრობს ომის წარმატებით წარმოებას, აგრეთვე ომის შემდგომ მსოფლიოს ისეთი მოწყობის განხორციელებას, რომლის დროსაც ყველა ხალხი მეგობრულად და თანხმობით იცხოვრებს. ქ-ნმა ჩან კაი-შიმ განაცხადა, რომ ჩინეთი მზად არის ითანამშრომლოს ა. შ. შტატებთან და სხვა ქვეყნებთან ბრძოლაში, ჯანსაღი და პროგრესიული მსოფლიო წესწყობილების საფუძველთა შექმნაში და იმაში, რომ თავიდან იქნას აცილებული რომელიმე ქედმაღალი მტაცებლის ცდა მომავალი თაობა გადასჩეხოს ახალ სისხლისღვრაში.

რამდენიმე ხნით ადრე ქ-ნმა ჩან კაი-შიმ სიტყვა წარმოსთქვა სენატში. მისი სიტყვა გადაცემული იყო რადიოთი მთელს ამერიკაში და კონგრესი გულთბილად შეხვდა.

მდგომარეობა ინდოეთში

ლონდონი, 20 თებერვალი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ინდოეთის საქმეთა მინისტრ ემერის თემთა палატაში მისცეს კითხვა, ხომ არ სთვლის იგი საჭიროდ ინდოეთში ამჟამად არსებული ვრიზისის ლიკვიდაციის მიზნით ნება დართოს ევროპელ ინდოელ ლიდერებს, რომლებიც ორც ერთ პარტიაში არ შედიან, ინახულონ ერთანი. ემერიმ უპასუხა, ამ საკითხის გადაწყვეტა ინდოეთის მთავრობას მივანდეო.

ლეიბორისტმა სორენსენმა ემერის ჰკითხა, ინგლისს აძლევს თუ არა იგი თავისთავს იმაში, რომ ინდოეთის მეფის მოადგილესთან არსებული აღმასრულებელი საბჭოს სამი წევრის გადადგომის შედეგად ინდოეთში შეიქმნა ახალი მდგომარეობა და ამის საფუძველზე საჭიროდ ხომ არა სთვლის იგი წინადადება მისცეს მეფის მოადგილეს ნება დართოს განდის ნახვისა. ემერიმ ამაზე უარყოფითი პასუხი მისცა.

ბრძოლა სამამულო ომის ღირებულებანი

ჩემი შემოქმედებითი მუშაობა



საქ. სსრ სახალხო არტისტი შ. ღამბაშიძე ინჟინერ სერგეევის როლში.

წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებანი, ფაშისტური ურჩხულის კლანჭებიდან ყოველდღე ახალ-ახალი ქალაქებისა და სოფლების განთავისუფლება ახალ შემოქმედებით აღმავლობას იწვევს. სამამულო ომის დღეებში მე ორი დიდი როლი შევასრულე: პაატაში ბატონიშვილი პიესა „მეფე ერეკლეში“ და სერგეევი პიესა „ინჟინერ სერგეევში“. ეთანამშრომე აგრეთვე წითელწვერას როლი პიესა „პარტიზანებში“. ამავე პერიოდში დავდგი ბ. გამრეკელის პიესა სამამულო ომის თემაზე „ვრიგალი“.

ამჟამად ვმუშაობ შექსპირის კომედიის „ჭირვეული ცოლის მორჯულების“ დადგმაზე, ხოლო მოლიერის კომედიაში „ოქვენ ავადმყოფი“, რომელიც ამ დღეებში დაიდგმება მარჯანიშვილის თეატრში, შევასრულებ არგანის როლს.

სისტემატურად ვმუშაობ აგრეთვე კინოსტუდიაში, ვმონაწილეობ საშეფო კონცერტებში, რომლებსაც ვაწყობთ წითელი არმიის ნაწილებსა და ჰოსპიტლებში. ეხელმძღვანელობდი სამხატვრო ბრიგადას, რომელიც მოემსახურა სამხედრო ნაწილებს.

შალვა ღამბაშიძე

საკავშირო მუსიკალური გამოფენა

წითელი არმიის XXV წლისთავის აღსანიშნავად მოსკოვში ეწყობა საკავშირო მუსიკალური გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იქნება სამამულო ომის დღეებში დაწერილი საუკეთესო მუსიკალური ნაწარმოებები, მოწინავე კომპოზიტორების პორტრეტები და წითელი არმიის ნაწილებში სამხატვრო ბრიგადების მუშაობის ფოტოსურათები.

გამოფენაში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი, რომელიც უკვე გაგზავნა შემდეგი ექსპონატები კლავირებისა და პარტიტურების სახით: ვ. გოკიელის ოპერა „პატარა კახი“, შ. მშველიძის სიმფონიური პოემა „ზვიადაური“, ა. ანდრიაშვილის უვერტიურა „ხუსან ირისტან“, ო. ბარამიშვილის ვოკალურ-სიმფონიური პოემა „ბურეევსტნიკ“, ნ. ნარიმანიძის ორატორია „ბაღილება ომში“, დ. თორაძის „საზეიმო უვერტიურა“, შ. თაქთაქიშვილის „საიერიშო სიმღერა“, ვ. ცაგარეიშვილის სიმღერა „გამარჯვება ჩვენია“, ვ. ჟურტიდის სიმღერა „ლაშქრული“, რ. გაბიჩვაძის სიმღერა „ლაშქრული“, ნ. შარაბიძის სიმღერა „ბრძოლის ველზე“, ი. ტუსკიას სიმღერა „სტალინისათვის, სამშობლოსათვის“, „სიმღერა სამშობლოზე“ და თამაზის არია ოპერიდან „სამშობლო“, ა. მაკავარიანის სიმღერა „ქართული ლაშქრული“. გაგზავნილია აგრეთვე ფოტოსურათები.

წითელი არმიის შეტევა. პანოს ესკიზი ვ. ვეფხვაძისა.
ფოტო-რეპროდუქცია ვლ. გინზბურგისა.

საიუბილეო თარიღებისადმი მიძღვნილი კრებული

„კომუნისტის“ რედაქციამ აგიტატორების დასახმარებლად გამოსცა წითელი არმიის XXV წლისთავისა და საბჭოთა საქართველოს XXII წლისთავისადმი მიძღვნილი ფერადი, ილუსტრირებული კრებული. კრებულში მოთავსებულია: მასალები საუბრისათვის თემაზე: „წითელი არმიის XXV წლისთავი“; საბჭოთა საქართველოს XXII წლისთავი; გმირული სტალინგრადი; ნიკოლოზ ვირტა—როგორ წამოიყვანეს ტყვედ პაულუსი; კაპიტანი დ. გვრიტიშვილი—სტალინგრადის დაცვის მოაწილე ქართველი აუბრძოლები; ვასო გორგაძე — სტალინგრადს (ლექსი); დემოკრატიული ქვეყნების პოლიტიკური მოღვაწენი სტალინგრადთან წითელი არმიის გამარჯვების შესახებ; სტალინგრადთან წითელი არმიის გამარჯვება უცხოეთის პრესის შეფასებით; ეპიზოდები სამამულო ომის ფრონტებიდან; წითელი არმია ქართულ საბჭოთა პოეზიაში; ბ. პავლენკო—მარტოდ-მარტო ორ ქუჩაზე; ჰიტლერული არმია მძარცველთა და მკვლელთა არმიაა; ფრონტული იუმორი.

კრებული ღირს 3 მანეთი.

საპონი აბრეშუმის პარკისაგან

თბილისის მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა, როგორც უკვე ცნობილია, დაამუშავა აბრეშუმის ჭიის პარკისაგან ცხიმის მიღებისა და მისგან საპნის გაკეთების მეთოდი.

წინადადების ავტორმა, ინჟინერმა კაჯარმა, რომელმაც გააუმჯობესა თავდაპირველი მეთოდი, პარკისაგან საპნის გაკეთება შესაძლებელი გახადა სრულიად მარტივი მოწყობილობის საშუალებით.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ქიმკომბინატში ჩატარებულმა გამოცდამ საესებით დაადასტურა ინჟინერ კაჯარის წინადადების რაციონალობა. 80 კილოგრამი მშრალი პარკისაგან მიღებულ იქნა 50 კილოგრამი მაგარი საპონი, რომელიც 45 პროცენტამდე ცხიმეულს შეიცავს და საესებით ვარგისია სამეურნეო საჭიროებისათვის.

სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებით, ქუთაისის, მახარაძის, წულუკიძის, თელავისა და სამტრედიის რაიონებში ეწყობა აბრეშუმის პარკისაგან საპნის მასობრივი გაკეთება. (საქდესი).

მწერალთა კავშირში

ორშაბათს, 22 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, მწერალთა სახლში (მაჩაბლის ქ. № 13) საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის სომხურ სექციაში მწერალი სურენ აეჩიანი გააკეთებს მოხსენებას თემაზე: „ქართული ლიტერატურა სამამულო ომის დღეებში“.

დასწრება თავისუფალია.

ლექციები ⅊ მოხსენებები

22 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტში (ლენინის ქ. № 41) შესდგება ამხ. პავჩინსკის (რუბენი) საუბარი რუსულ ენაზე. თემა: „სამამულო ომის მიმდინარე მომენტი და ჩვენი ამოცანები“.

თეატრებში

23 თებერვალს: **რუსთაველის სახელობის** — „ოლეკო დუნდიჩი“. **მარჯანიშვილის სახელობის** — „კოლმეურნის ქორწინება“. **გრიბოედოვის სახელობის** — „ფელდმარშალი კუტუზოვი“. **სომხური თეატრი** — „ინჟინერი სერგეევი“. **ახუნდოვის სახელობის** — „ამუდ ყარიბი“. **მუსიკალური კომედიის** — „არშინ მალ-ალან“. **სანკულტურის** — „შეხვედრა“. **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი** — „მშობლიური მიწა“. **მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი** — „გაქცევა“. **მოზარდ მაყურებელთა სომხური თეატრი** — „ორი ობოლი“.

კინოებში

რუსთაველის სახ. და **ოქტომბერი** — „სამი მუშკეტერი“, **დამკვრელი** — „საიდუმლო კუნძული“, **კომკავშირელი** — „დაკარგული სამოთხე“, **სპარტაკი** — „ომის ერთი დღე“, **ლუკიმბურგის სახ.** — „ჯაბუკი ჩვენი ქალაქიდან“, **კომინტერნი** — „შექარქუნელი“, **26 კომ. სახ.** — „ალექსანდრე პარხომენკო“, **მეცნიერება და ცოდნა** — „მეოთხე პერისკოპი“.

პასუხისმგებელი რედაქტორის
მოადგილე ბ. ჯიბლაძე



ხურათზე: მარცხნიდან მარჯვნივ: საშუალო ტანკი „ტ-3“; იტალიური „ბრედა“ სისტემის 47-მილიმეტრიანი ზარბაზანი, 150 მილიმეტრიანი შორსმსროლელი ჰაუბიცი, 158-მილიმეტრიანი ექვსლულიანი ნაღმსატყორცნი „დ“ და 20 მილიმეტრიანი ოთხლულიანი საზენიტო ზარბაზანი.

დღეს თბილისში, ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგონზე იხსნება გმირი წითელი არმიის კიერ ნადავლი გერმანული საჭურველის გამოფენა.
ფოტო რ. აკოფოვისა.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

ᲣᲒ 0294

კარლო კალაძე

ნადავლის გამოფენა ბერიას მოედანზე

არ დარჩება იქ შავბედათ, კაეშანად..
დამწვარ მიწის შავი ფერი არ დარჩება!
ფრთები დროშებს სხვა ელფერით გაეშალათ,
შედის დამწვარ ქალაქებში გამარჯვება!..

იქ, თბილისის ვაუკაცების გულიც იწვის —
ყველას ერთად სიხარულის შუქი ჰქვიათ!
მტერს აართვეს იარაღი... და თბილისის
მოედანზე სანახავად დაუყრიათ!

ეს, ქარცეცხლით გაბოლილი ზარბაზნები
არ უყეფდნენ კავკასიის კლდეებს განა?—
ვინ დაცხრო ვაუკაცური ზარდაცემით,
ხმა-ჩახლეჩილ ნაგაზებად აქ რომ დგანან!

სვავს უცქირეთ! მტაცებელი იყო დიდი,
ფრთა-მოტეხილს ჩაჰქრობია გულის ძგერა...
ის იყო რომ მიჰყოლოდა, თვალბედითი,
ღამეებში ხანძარივით შეკრული მერანს!

დამმონებლად, დალონებად, კაეშანად
არც ამ სვავთა შავი ფერი არ დარჩება...
ფრთები დროშებს ელვასავით გაეშალათ
შედის ყველა ქალაქებში გამარჯვება!

წითელი არმიის XXV წლისთავისა და საბჭოთა საქართველოს XXII წლისთავის აღსანიშნავად

ნაკისრი ვალდებულებანი შეასრულეს

ორი ჭაბურღილი ვადამდე გადაეცა საექსპლოატაციოდ

ტრესტ „საქნავთის“ კოლექტივი ახალი საწარმოო წარმატებებით ხვდება წითელი არმიის XXV წლისთავს და საბჭოთა საქართველოს XXII წლისთავს. ტრესტის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალმა და მოსამსახურეებმა გადაჭარბებით შეასრულეს სახელოვანი წლისთავებისადმი მიძღვნილი ვალდებულებანი. ნავთის მოპოვებისა და ჭაბურღილების საექსპლოატაციოდ გადაცემის თებერვლის პროგრამა შესრულებულია 108 პროცენტით, ნაცვლად 105-ისა, რასაც სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება ითვალისწინებდა.

ვადამდე ჩაბარებულია საექსპლოატაციოდ ჭაბურღილი № 87, რომელიც მაღალხარისხოვან ნავთს იძლევა გაცილებით მეტი რაოდენობით, ვიდრე დაგეგმილი იყო. ვადამდე შედის ექსპლოატაციაში აგრეთვე ჭაბურღილი № 168, რომელსაც ნავთშემცველობის კარგი მაჩვენებლები აქვს. ამ სამუშაოთათვის საჭირო მილები და სხვა მასალა მთლიანად შეინავანი რესურსებიდან მოაგროვეს.

„საქნავთის“ ცალკეულ სარეწთა შორის მირზაანის სარეწი წარმატებით ასრულებს გეგმას. თებერვლის საწარმოო პროგრამა უკვე შესრულებულია 110 პროცენტით. კარგად მუშაობენ ნავთის მოპოვების ოსტატი ალი აბას ხალიკოვი, ორდენოსან შ. ბაღაშვილის და დ. კაკალაძის ბრიგადები, ინჟინერი ქალები ე. ფირანიშვილი და თ. კუშაშვილი.

(საქდესი).

20 თებერვალს 101.6 პროცენტით

თბილისის ნ ქარხნის № 9 საამქროს კოლექტივს (უფროსი ამხ. ჩერვიაკოვი, პარტბიუროს მდივანი ამხ. ლიტვინენკო), აღფრთოვანებულს გმირი წითელი არმიის ისტორიული გამარჯვებებით, ნაკისრი ჰქონდა ვალდებულება ფრონტისადმი მაქსიმალური დახმარების მიზნით თებერვლის პროგრამა წითელი არმიის XXV წლისთავისათვის შეესრულებინა. სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად საამქროს მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა ნაკისრი ვალდებულება პირნათლად გაანაღდეს: 20 თებერვალს დღის 11 საათისათვის საამქროს თებერვლის პროგრამა 101,6 პროცენტით შესრულა.

10 დღით ადრე

ხაშური (ტელეგრაფით). ხაშურის მტს-მა ტრაქტორების რემონტი ვადამდე 10 დღით ადრე დაამთავრა. მთავრდება მისაბმელი იარაღების რემონტიც.

წითელი არმიის XXV წლისთავისათვის ნაკისრი ვალდებულება პირველებმა გაანაღდეს გომის, ვაყისა და სატივის სატრაქტორო ბრიგადებმა. ამხ. კ. მოსიაშვილის ბრიგადამ ისარგებლა იანვრის კარგი დღეებით და მოხნა 25 ჰექტარი. ქელეხსაშვილის, ლაცაბიძის, შალვა და კოსტა მოსიაშვილების ბრიგადებმა რემონტზე ათიათასამდე მანეთი დაზოგეს.

დ. ფარეშუზოვი

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲬᲘᲡᲥᲕᲘᲚᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲐ

თბილისის წისქვილკომბინატის კოლექტივმა (დირექტორი ამხ. შ. მინდიაშვილი, პარტბიუროს მდივანი ამხ. ა. ჯანინოვი) გასული წლის აგვისტოში საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველად მესამე ადგილი დაიკავა სსრ კავშირის დამზადებათა სახ. კომისარიატის საწარმოთა შორის, სექტემბერში ეს ადგილი შეინარჩუნა, ხოლო ოქტომბრის მაჩვენებლებით მეორე ადგილი მოიპოვა და მეორე პრემია მიიღო, ნოემბერსა და დეკემბერში შეინარჩუნა მეორე ადგილი და ზედიზედ ორჯერ მეორე პრემია მიიღო.

წისქვილკომბინატის მუშა-მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა ახალი წლიდან ახალი ძალით გააჩაღეს მუშაობა. იანვარში კომბინატმა ახალი გამარჯვება მოიპოვა—პირველი ადგილი დაიკავა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, მიიღო პირველი პრემია და სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა.

16 თებერვალს წისქვილკომბინატში შესდგა მუშა-მოსამსახურეთა მიტინგი, რომელსაც ამხ. მინდიაშვილმა აცნობა, რომ კომბინატმა სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი მოიპოვა. მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ საფქვავი საამქროს უფროსი სოკოლოვი, სტახანოველები კაშპარეევი, ხოდკოვი და სხვ., რომელთაც ახალი ვალდებულებები იკისრეს.

წისქვილკომბინატის მუშაკებს გადაწყვეტილი აქვთ თებერვალში კიდევ უკეთესი მაჩვენებლები მოიპოვონ და ფრონტისადმი დახმარების გაძლიერებით შეხვდნენ გმირი წითელი არმიის XXV წლისთავს და საბჭოთა საქართველოს XXII წლისთავს.

ლ. მუხაძე

ᲒᲐᲕᲐᲫᲚᲘᲔᲠᲝᲗ ᲡᲐᲒᲐᲖᲤᲮᲣᲚᲝ ᲗᲔᲡᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

პირველი ხუთი ჰექტარი

ბათუმი. 17 თებერვალს ბათუმის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობა, პირველი აპარის ასსრ-ში, შეუდგა სასიმინდე მინდვრების მასობრივ ხვნას.

ტრაქტორისტმა ამხ. სვინცოვმა მინდვრად გასვლის პირველსავე დღეს 5 ჰექტარი მოხნა და 30 კილოგრამი საწვავი დაზოგა. წითელი არმიის სახელოვანი XXV წლისთავისა და საბჭოთა საქართველოს XXII წლისთავის აღსანიშნავად ამხ. სვინცოვმა იკისრა ცვლაში 7 ჰექტარის მოხვნა და საერთო დავალების შესრულება 28 თებერვლისათვის, ამასთან საწვავი და საცხები მასალების მაჭიმალურად დაზოგვა. (საქდესი).

მოწინავე ბრიგადირები

ცხაკაიას პირველმა მტს-მა ტრაქტორების რემონტის გეგმა ვადაზე ერთი თვით ადრე შეასრულა.

რემონტის ჩატარებაში სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის საფუძველზე მუშაობის საუკეთესო მაგალითი გვიჩვენეს სარემონტო ბრიგადის ბრიგადირებმა, პარტიის წევრებმა ამხ. ლავრენტი შეროზიამ და ვალოდია ხურციამ. ასევე კარგად იმუშაეს ამხ. მაქსიმე ლულაიამ, ტრაქტორისტმა ნაროუშვილმა, ხიწწურეიშვილმა და ჯღამაძემ.

აქ. ბაღათურია

ცხაკაიას მტს-ის პოლიტგანყოფილების უფროსი.

ᲤᲠᲝᲜᲢᲔᲚᲗᲐ ᲝᲯᲐᲮᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ

თბილისის ტალინის სახელობის რაიონში 14-დან 19 თებერვლამდე დახმარება გაეწია ფრონტელთა მრავალ ოჯახს, რომლებსაც მიეცა 151 მეტრი ფართალი, 157 წყვილი ფეხსაცმელი, 195 ცალი ქალის პალტო, 747 კილოგრამი პროდუქტები, 25 კუბმეტრი შეშა და სხვ. 44 ოჯახს მიეცა ფულადი დახმარება 8.341 მანეთის რაოდენობით.

ფრონტელთა 6 ოჯახი უზრუნველყოფილია ახალი საცხოვრებელი ბინით, ხოლო რემონტი გაუკეთდა 46 ოჯახს. რემონტზე დახარჯულია 10.750 მანეთი. ივანოვის (ბრძოლის ქ. № 34), ბურაკიკიძის (კოოპერაციის ქ. № 26), ლებედევის (ბათუმის ქ. 6), ხარძანაძის (დიღომის მე-2 შესახვევი) ოჯახები ამჟამად საფუძვლიანად შეკეთებულ ბინებში ცხოვრობენ.

ტალინის რაიონიდან სამამულო ომის ფრონტზე წასული მებრძოლების ოჯახის წევრთა კულტურულ მომსახურებაზე 20.000 მანეთი დაიხარჯება.

ი. თევდორაშვილი

ᲔᲠᲗᲘ ᲕᲐᲒᲝᲜᲘ ᲡᲐᲭᲣᲥᲠᲔᲑᲘ ᲒᲛᲘᲠ ᲬᲘᲗᲔᲚ ᲐᲠᲛᲘᲐᲡ

კასპის რაიონის მშრომელებმა წითელი არმიის სახელოვანი XXV წლისთავთან დაკავშირებით ფრონტზე გაგზავნეს ერთი ვაგონი საჩუქრები. საჩუქრებში შედის: 360 კილოგრამი ვაშლი, 984 კილოგრამი ჩირი, 68 კილოგრამი ჩურჩხელა, 110 კილოგრამი ლორი, 100 კილოგრამი კაკალი, 620 კილოგრამი კარტოფილი, 813 კილოგრამი ხახვი, 1.700 ლიტრი ღვინო, 181 ლიტრი არაყი, 40 დაკლული ცხვარი და სხვ.

საჩუქრებთან ერთად კასპის რაიონის მშრომელებმა სოციალისტური სამშობლოს სახელოვან დამცველებს გაუგზავნეს მის